გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 · საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1891

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 17 სექტემბერი

პოლიტიკის მიწყნარებული ცის კიდური ერთხელ კიდევ აირ-დაირია და აქა-იქ შავი ღრუბლები გამოჩნდა. წვიმა-ქარიშხალი მოჰყვება, თუ ცა ღრუბლებს გადიყრის, ეს ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ის-კი დღესავით ცხადია, რომ სადიპლომატიო მიწერ-მოწერა გაცხარდა ევროპაში და პოლიტიკის მეთაურთ ამ ორიოდე თთვის განმავლობაში დიდი მოუსვენრობა დაეტყოთ. ძველებურად ქვეყანას და საზოგადოებას გაზეთები არწმუნებენ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო, მაგრამ ამ დამამშვიდებელის ხმებისა როგორღაც აღარა გჯერა-რა, რადგან მღელვარება თავის ტალღებში, ჟურნალ-გაზეთობის გარდა, თვით ხალხიც ჩაითრია, და ეს ხომ ცუდი ნიშანია.

ყველა ეს გამოიწვია საფრანგეთის სამხედრო ესკადრის კრონშტადტში ყოფნამ. რუსები ისეთის გატაცებითა და წმინდის გულით დახვდნენ საფრანგეთის ადმირალს ჟერვეს, იმისს აფიცრებსა და ზღვაოსნებს, ისეთი სიყვარული და აღტაცება გამოიჩინეს მათდამიმართ, რომ გაკვირვებული ევროპა პირღია დარჩა. რაღა თქმა უნდა, თვით ფრანგები, ისეც გატაცებული ხალხი, ცას დაეწივნენ სიხარულისაგან და პირზე სულ რუსეთი და რუსის ერი აკერიათ. აქამდე რუსეთი და საფრანგეთი განცალკევებულნი იყვნენ და სათითაოდ აგრე რიგად საშიშნი არც ერთი არ იყო სამთა კავშირისათვის, რომელსაც, როგორც გაზეთები დაჟინებით იწერებოდნენ, ინგლისიც მიემხრო. ძმურის შეხვედრის შემდეგ რუსები და ფრანგები მეტად დაახლოვდნენ და, თუ საჭიროება მოითხოვს, ერთადაც იმოქმედებენ, ერთი-ერთმანეთს ზურგს მისცემენ და თავისს სურვილ-საწადელს აასრულებენ, და, აბა ხომ მოგეხსენებათ, ერთსაც და მეორესაც იმდენი სურვილი და სანატრელი აქვს, რომ მათი დაკმაყოფილება ამ ცოტას ხანში შეუძლებელი იქნება.

ასეთმა დაახლოვებამ რუსეთისა და საფრანგეთისამ მეტად ცუდს გუნებაზე დააყენა მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე გერმანიისახალგაზდა იმპერატორი ვილჰელმი და ძალიან გააგულისა, რადგანაც პირველობა, უფროსობა ხელიდგან ეცლებოდა, გერმანია და მისი სახელი იჩრდილებოდა და მისი ბედის ვარსკვლავი სხვას უკაშკაშებდა.

ამავე დროს გერმანიის საზღვარზე დიდრონი აღლუმები გამართეს ფრანგებმა, ოთხი კორპუსი მონაწილეობას იღებდა აღლუმში და თავისის მშვენიერის გაწვრთნით საფრანგეთის ჯარმა იქ დამსწრე უცხო ქვეყნის სამხედრო წარმომადგენელნი გააკვირვა და გაოცა, როგორც ადმირალ ჟერვეს ესკადრამ. საფრანგეთის გენერლები: გალიფე, ნიგრიე, დავუ (შთამომავალი გამოჩენილის ნაპოლეონის მარშლის დავუსი) და მთავარ-სარდალი გენერალის სიმუსი სოსიე ისეთის ცოდნითა და სისწრაფით განაგებდნენ ჯარებს, რომ ნამდვილი ომი რომ ყოფილიყოვო, ამბობენ გაზეთები, ძნელად თუ მტერი დაუმარცხებელი დარჩებოდაო. მეორე საყურადღებო და საგულისხმიერო გარემოება ის არის, რომ თვით საფრანგეთის პრეზიდენტმა ინახულა ჯარები და დიდის აღტაცებით მიიღეს გამგე რესპუბლიკისა. ეს კიდევ იმას ამტკიცებს, რომ საფრანგეთში საფუძვლიანად დამკვიდრდა რესპუბლიკა და რომ ხალხისა და მთავრობის შორის სრული თანხმობა და სიყვარული ჩამოვარდა და ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ საფრანგეთს მტერთან ბრძოლა მოუხდა.

საფრანგეთი, რუსეთის მეგობრობით დაიმედებული და მისი თანაგრძნობით გამხნევებული, წელში გასწორდა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ისევ ის საპატიო ადგილი დაიჭირა, რაც ეჭირა ყოველთვის ამ ნიჭიერს ერს. თვით ცხვირ-ჩამოშვებულმა და დაღვრემილმა ინგლისელებმაც საჭიროდ დაინახეს ადმირალ ჟერვეს ესკადრის მიპატიჟება პორტსმუტში და დიდი მასპინძლობა გაუმართეს.

საფრანგეთის ასეთი გაძლიერება დიდად ესიამოვნა ოსმალეთს და დააპირა კიდეც ინგლისელების

## ფელეტონი

### საწამლავი

(მოთხრობა ჟან რეიბრაკისა, დასასრული. იხ. „ივერია“ № 197)

IV

ერთს დილას ქალბატონმა დაგერისამ თავისს მოსამსახურე ქალს კუთვნილი ჯამაგირი მისცა და დაითხოვა. მოსამსახურე ფულის მიღების დროს დაღვრემილი იდგა და წასვლისას რაღაც ზიზღით უთხრა ქალბატონს:

— ტყუილი გიფიქრიათ, თუ გგონიათ, რომ მე თქვენთან კიდევ მინდოდა დარჩენა... ვინ იცის, იქნება კიდეც მოგეწამლეთ.

ეს სიტყვები, თითქოს გულში ხანჯალი დაუტარესო, ისე მოჰხვდა ქალბატონს დაგერისას. უეცრად მოაგონდა უკვე დავიწყებული წარსული ამბავი და თავზარდაცემული მთლად გაშრა და გაშტერდა. მთელი დღე გონზე ველარ მოვიდა. ქმარმა შეატყო ეს ცვლილება, გაუკვირდა და აღელვებულმა ჰკითხა:

— ავად ხომ არა ხარო?

— არაო, უპასუხა ცოლმა და თან დაუმატა: სულ იმ დათხოვნილ მოსამსახურის ბრალია. ვერ შემიძლიან კაცს გავუჯავრდე, ან დავსაჯო! ხომ იცი, რა ჩვილის გულისაცა ვარ!

თავის შეურაცხების შესახებ მარიამმა კრინტიც არ დასძრა და ნელ-ნელა დამშვიდება დაიწყო. ან-კი რად უნდა ვიტანჯო და ყური ვუგდო იმისს სიტყვებსა? ხვალ ხომ სრულიად გადამავიწყდებაო. მართლაც ცდილობდა, დაევიწყებინა და აღარ ეფიქრა ამ საგანზე.

გულის დასამშვიდებლად მარიამი ცდილობდა ახლად მოპოებულის ბედნიერებით შემოზღუდულიყო, ციხესავით გარს შემოერტყა, რომ მისს მაგარს კედელ-ბურჯებისათვის ველარ შემოეტანებინა წარსულის მოგონება და თვითონ-კი, ამ გვარად გამაგრებულს, ამაყად ეცქირა ყველასა და ყველაფრისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ასეთის ცდილობისა, ქალბატონს დაგერისას მაინც ვერ დაუცხრა გული. მის უნებურად, რაღაცა აზრი თავის თავად მოქმედებდა, ჰქენჯნიდა და აწუხებდა. თანდათან ამ ტანჯვამ სრულიად შეიპყრო და მალიმალ მოესმოდა ხოლმე განმეორებით ადრინდელი შეურაცხება. იმ საიდუმლოს მოგონების გამო, რომელიც მისს გულში ღრმად იყო დამარხული, რომელიც აღარც-კი ახსოვდა და აღარც-კი სჯეროდა— ფიქრი უფრო და უფრო გაურბოდა წარსულისაკენ და ეს წარსული ძველ, გაქარწყლებულ ამბად აღარ ეჩვენებოდა, აწინდელ ბედნიერების სხივს იგი ველარ დაეცხრო, ველარ გაეფანტა. წამდაუწუმ აგონდებოდა ადრინდელი ამბები, თავს უბრუებდა და აწუხებდა. ერთის მხრით იმან, რომ ეს ფიქრები ვერა და ვერ მოიშორა და მეორედ თავის დანაშაულობის გრძნობამ სრულიად წარუკვეთა სასოება ქალბატონს დაგერისას.

აქამდე მარიამის გულს სინანული არ მიჰკარებია—არც ბოროტების ჩადენის შემდეგ და არც საპატიმროში ყოფნის დროს, როცა თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. პირველს ხანში ვნებათა ღელვა ამაგრებდა და მას უკან სიამაყე, თავ-მოყვარეობა; ახლად მოპოებულმა ბედნიერებამ ხომ სრულიად დაათრო და დააძინა. ეხლა-კი რაღაც გამოფხიზლება დაეტყო. რაკი იმ გრძნობაზე დადგა, რომ ჩემი წარსული უბრალო ლანდი, სიზმარი არ არისო, მარიამს სინანული მოერია, რომელიც ბოლოს სინიდისის მწარე ქენჯნად გარდაექცა. ნელ-ნელა აზრი შეეპარა და დაიჯერა, ნამდვილი დამნაშავე, ბოროტ-მოქმედი ვარ და ჩემს თავსაცა და ჩემს ქმარსაც ვატყუებდიო.

როცა პირველად ნათლად შეიგნო ეს თავისი გარემოება, გული საშინლად დაუმძიმდა, ყველაფრის მონანიება ძნელ საქმედ ეჩვენა. რაღაც წყვდიადი გადაეფარა მისს აწმყოსა და მომავალს და ხშირ ღამესავით დაუბნელდა. თითონ მარიამი მზად იყო ყოველივე სასჯელი მიეღო, გამოესყიდნა თავისი შეცდომანი, მაგრამ ის ამწარებდა და აწუხებდა, რომ ქმრისთვის სიცოცხლე უნდა ჩაეშხამებინა და მოეწამლა: როგორც მე მოვედი გონსა და ჩემი გარემოება გავითვალისწინე, ისე ჩემს ქმარს დაემართებაო— ისიც ვისგანმე რამე წყენას მიიღებს, მოიგონებს თავისს წარსულს, კარგად ჩაუფიქრდება, სიყვარული გადაავიწყდება, შეიგნებს თავისს არა—გონიერს საქციელსა და სასოება წარეკვეთებაო. მეტის-მეტად ნანობდა, რატომ უბრალოდ საყვარლად გავუხდი, როგორც ვაპირებდი, და რად ვექორწინეო.

დაგერი ჟამიერად იყო ბედნიერი უშერმისოდ და აღარც ქალს შერჩა იმედი, რომ ესე დაუსრულებლად ვიბედნიერებთ. ქმარზე ამას ფიქრობდა, ეგ კაცი კლდეს დაეზიდა, რომელიც ადრე თუ მალე უნდა გადმოწვეს და თვითონ ეგვე უნდა დარეგვოსო.

ამ მწუხარებას სხვა ახალი მწუხარებაც მიემატა. ერთს დილას რომელსაღაც გაზეთს ათვალიერებდა და ამბავი ამოიკითხა—ცოლმა ქმარი მოწამლაო. იქაც ქალის საყვარელი ჰრეოდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ამ საყვარელს თავი მოეკლა. ეს ორი ამბავი ერთი ერთმანეთს ჰგავდა. დაგერიც ასევე იფიქრებდა, ამას კითხვა აღარ უნდოდა. ქალი დარწმუნებული იყო ამაზე. რომ ამ საქმის გამოძიება-გარჩევამ მწარე მოგონებანი არ აუშალოს მარიამსაო, დაგერმა გადასწყვიტა იმისი სოფლად გაგზავნა, რათა გაზეთების კითხვისა და საზოგადოების მითქმა-მოთქმისათვის მოერიდებინა. მაგრამ მარიამმა სხვა-და-სხვა მიზეზი მოიმიზეზა და არ ინდომა წასვლა: საშინელი სურვილი აღეძრა ამ საქმისათვის ფხიზლად ყურის გდებისა.

თავდაპირველადვე მსგავსება და ერთგვარობა იმ ორის საქმისა ცხადი იყო. თვით ბრალდებულის ქალის ქცევა თავის ქცევად ეჩვენა მარიამსა—ისიც ამასავით ქედ მოდრეკილი იყო, დანაშაულსა გრძნობდა, აღიარებდა და თავისს თავს მოულოდნელობის მსხვერპლადა ჰხადიდა. ამის გამო მარიამმა მთელი თავისი ყურადღება ამ საქმეს მიაპყრო. ყოველს გაზეთს კითხულობდა, სადაც-კი იმის შესახებ რამ ეწერა და ათაში ერთხელ თავისს სახელსაც-კი ამოიკითხავდა ხოლმე, რადგან მწერლები ადრინდელსა და ეხლანდელს საქმეს ერთმანეთს უფარდებდნენ და ადარებდნენ.

თუმცა ცოლ-ქმარს ერთი ერთმანეთისათვის არა უთქვამთ-რა ამ საქმის თაობაზე, მაგრამ ცოლი გრძნობდა და ესმოდა, რომ ორივენი შეპყრობილნი ვართ ამითი და საგონებელი საგანი ეს-ღა გაგვხდომიაო. მარიამს ის უფრო უწყალებდა გულს, აბა როგორ და რითი გათავდება ეს საქმეო. თუ სასამართლო დამნაშავედ იცნობდა ბრალდებულს ქალს, მაშინ მარიამსაც გული უნდა დასწყვეტოდა, ხოლო თუ გამართლდებოდა, მაშინ-კი ამ გვარი საქმე ჩვეულობრივ უმანკო საქმედ იქნებოდა ღიარებული და მარიამიც სამუდამოდ ჩირქ მოუცხობელი უნდა დარჩენილიყო; აღარც შავი მოგონებანი წარსულისა დაუწყლულებდა გულსა ₫ ასე უეცრად დარღვეული მყუდროებაც ოჯახში ცხოვრებისა კვლავ აღდგებოდა და სამუდამოდ მკვიდრად დამყარდებოდა.

როცა საქმის გარჩევა მთავრდებოდა და მხოლოდ უკანასკნელი დღედა დარჩა, მარიამი საშინელს ყოფაში იყო. განაჩენი საღამოზედ უნდა გამოეცხადებინათ. ამ განჩინებას ისეთის მოუთმენელობითა და მღელვარებით მოელოდდა, რომ გული გულის ადგილას აღარ უდგებოდა. პატარა რასმე რომ გაეჩხუნა იმის ახლო, მაშინვე უნდა შემკრთალიყო. ღამე სრულიად არ ეძინა და ციებიანსავით აკანკალებდა.

მეორე დილას ისე გაფთარებული ეძგერა გაზეთებს, თითქოს ეს ეს არის სიკვდილით უნდა დაჰსაჯონო. აკანკალებულის ხელით რომ ხსნიდა გაზეთს, უნებლიედ გახია კიდეც. მღელვარებისაგან თვალები აუჭრელდა, მაგრამ როგორც იყო გაარჩია და წაიკითხა. მეხისავით რაღაც საშინელი ზარი დაეცა თავსა. თავპირში სისხლი მოაწვა და, რომ არა ცდილიყო, უთუოდ წაიქცეოდა. იგრიალა მთელმა მისმა ბნელით და შავით მოსილმა წარსულმა და ერთბა-

გაძევება ეგვიპტიდგან, მაგრამ ჯერ-ჯერობით დუშაში არ მოსვლია. მარტო რუსეთმა ისარგებლა ამ გარემოებით და აისრულა თავისი გულითადი სურვილი. ოსმალეთმა გაუხსნა დარდანელი და ეხლა რუსეთის „Добровольный флотъ“-ის გემები თავისუფლად გაივლიან ბოსფორის სრუტეს...

მაგრამ ეს შემდეგისთვის იყოს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** კვირას, 15 სექტემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში კერძო კრება ჰქონდათ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთ, რომელნიც მიწვეულნი იყვნენ გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის, კამერგერის ლ. ა. მაღალაშვილის მიერ, ც იმის შესახებ მოილაპარაკეს, თუ როგორ უნდა აღმოუჩინოს შეძლებისდაგვარად შემწეობა თავად-აზნაურობამ რუსეთის შიდა გუბერნიების მოუსავლობით დაზარალებულმკვიდრთათ. იქ თავ-მოყრილმა თავად-აზნაურობამ სრული თანხმობა გამოაცხადა, მონაწილეობა მიეღო ამ კეთილს საქმეში. ამას გარდა, იქვე გადაწყვეტილ იქმნა, რომ გუბერნიის წინამძღოლმა მიჰმართოს სამაზრო წინამძღოლთ და სთხოვოს, რომ იმათაც შემწეობა შეჰკრიბონ ამ საგნისათვის თავიანთ მაზრის თავად-აზნაურობისაგანათ. ის წესი, რა წესითაც უნდა შეიკრიბოს პური ალაგობრივ, შემდეგში იქნება შემუშავებული.

*** ქალაქის სანიტარის ექიმმა ა. ი. ვართანოვმა ქალაქის თავს წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნას განკარგებული სანოვაგისა და სურსათის მეთვალყურეობა. ბ-ნი ვართანოვი იმ აზრისაა, რომ საკმარისი არ არის აწინდელი ზედამხედველობა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებისა, რადგან ეს აგენტები, ჯერ ერთი, მომზადებულნი არ არიან სასანიტარო მოღვაწეობისათვის და ვერც საკმაო დრო მოუხმარებიათ ამ საქმისათვის, რადგან სხვაც ბევრი სამუშაო აწევთ კისერზედაო. მეტადრე მას შემდეგ, რა-კი დაარსდება ქალაქის საქიმიო ლაბორატორია, სანიტარული ზედამხედველობა უნდა გაძლიერდეს და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს დიდი დრო დასჭირდებათ ამ საქმისათვის. ყოველ ამის გამო ბ-ნი ვართანოვი იმ აზრისაა, რომ სასანიტარო ზედამხედველობა უნდა ჩამოერთვათ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს და განსაკუთრებული სასანიტარო პოლიცია შესდგეს, რომლის აგენტებიც სანიტარის ექიმებს უნდა ექვემდებარებოდნენ. სასანიტარო პოლიციაში მიწვეულნი უნდა იყვნენ მცოდნე ფერშლები და სხვანი, რომელნიც განსწავლულ იქმნებიან ექიმების მიერ, თუ როგორ უნდა გამოიცნონ ყალბი სანოვაგე. ყოველს აგენტს ხუთ-ხუთი თუმანი უნდა დაენიშნოს თთვეში ჯამაგირი. სულ ექვსი აგენტი უნდა იყოს, თითო სასანიტარო განყოფილებაში სამ-სამი. დასასრულ, ბ-ნი ვართანოვი ამბობს, რომ რუსულსა, ქართულსა, სომხურსა და თათრულს ენებზედ პაწია წიგნაკები უნდა გამოიცეს სანოვაგის სიყალბის კანონებისა და სხ.

*** ბათუმის ოლქში, ამ თთვის 16, დიდი ნიაღვარი ყოფილა, რომელსაც ამიერ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგი ექვსის ვერსის მანძილზე გაუფუჭებია. ამ რკინის გზის სადგურს „ჩაქვას“ ახლოს ორს ალაგას ზვავი ჩამოვარდნილა. ამ ზვავებს ბათუმის მხარეს, მესამე ვერსზე, გზის მოზვინული მოურღვევია. ამ ალაგიდგან ორს ვერსზე ნიაღვარს დაუნგრევია ხევზე გაკეთებული რკინის გზის ქვითკირის ხიდი და ცოტა იქით ამავე გზის მეორე რკინის ხიდი მოუტაცნია. მოტაცებულს ხიდებთან ორს ვერსზე რკინის გზის ლიანდაგი წაულეკია. ამის გამო საფოსტო, სახალხო და საქონლის მატარებლები გაჩერდა და მისვლა-მოსვლა შეჩერებულია. ორშაბათს მატარებელი ღამის პირველს საათზე ხაშურიდგან მოვიდა. იმედი აქვთ, რომ კვირამდე შეაკეთებენ გზას. მხოლოდ გუშინ დილით-კი საქონლისა და სახალხო მატარებელი ტფილისში სრულიად არ მოსულა.

*** გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდა აგრონომი ს. ს. კოსტიჩევი, რომელიც საქართველოში გამოგზავნილია სახაზინო მამულების დეპარტამენტის მიერ კახეთის საუფლისწულო ვენახების დასათვალიერებლად.

*** იტალიის ელჩი ბათუმისა ჰანრი პეროდი გუშინ-წინ ბათუმიდგან ტფილისში ჩამოვიდა.

*** ცხენის რკინის გზის სადგურებზე, როგორც მოგეხსენებათ, საშინელი სიმყრალე და სიბინძურეა ცხენებისაგან. ეხლა უსახელო საზოგადოებამ თამამშოვის ქარვასლასთან, საცა ვაგონები დგება, გადახურული არხი გააკეთა.

*** სოფ. ქვედა საქარა (შორაპნის მაზრა). ჩვენში ამ ერთის თთვის წინად დადიოდა და ვენახებს ათვალიერებდა საფილოქსერო დასი და, ჩვენდა საუბედუროდ, სამიოდე ადგილას აღმოჩნდა ფილოქსერა. ზოგიერთმა გლეხმა სთხოვა, რათა ეწამლათ, და კიდევაც უწამლეს ფილოქსერას, მაგრამ თქვენი მტერი, რაც ვენახს იმათი წამლობა მოუხდა: მშვენიერად მოსხმული ვენახები სულ ერთიანად გადახმა. თუ-კი იცოდნენ იმ დალოცვილებმა, რომ გახმებოდა, ნეტავი შემოდგომაზედ, როდესაც ყურძენს მოვკრეფავდით, მაშინ ეწამლათ!...

*** ამ თთვის 16, ღამის სამის საათის ნახევარზე, საპერის ქუჩაზე ვიღაც ავაზაკები შეუცვივდნენ სადგურში დუშეთის მცხოვრებელს გასათხოვარს ქალს ოლღა თეოდორეს ასულს დუდკინს და დასჭრეს თავსა, ყურსა, კისერსა და მაჯაში. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს და გზაზედვე გარდაიცვალა.

*** ამავე დღეს პოლიციის მეექვსე ნაწილში პოლიციელმა ჩაპლიგინმა შეიპყრო განჯის საპატიმროდგან გამოქცეული ნახიჩევნის მცხოვრებელი ალექსანდრე სემიონოვი.

## ქალაქის საბჭო

16 სექტემბერი

იმ საქმეთა შორის, რომელიც განიხილა საბჭომ ამ კრებაზედ და თავისი განაჩენი დაადგინა, ყურადღების ღირსი იყო მოხსენება გამგეობისა, რომ სამართალში იქმნას მიცემული გამგეობის აგენტი ნ. ა. ალიხანოვიო. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ალიხანოვმა სილა გაარტყა ბ-ნს ზავრიევს თათრის მოედანზედ. მიზეზი ალიხანოვის ამ გვარ საქციელისა, როგორც გაიხსენებს მკითხველი, ის იყო, რომ ალიხანოვმა ერთს მუშათაგანს ჩარჩს ხეჩოს ხორბლის საცალო წაართვა, რომელიც ხეჩოს მიჰქონდა მოედნიდგან, კვლავ დაუბრუნა პატრონს და ამ მუშას-კი აღუკრძალა რისამე სყიდვა და გაყიდვა მოედანზედ დანიშნულ დრომდე იმ აზრით, რომ მოსპობილ იქმნას საშინელი ჩარჩობა, რომელიც ასე მამასისხლად აძვირებს ხორაგეულობას ტფილისში. ჩარჩმა ხეჩომ მიჰმართა მფარველობას ვიღაც ბ-ნ ზავრიევისას, რომელიც გამოესარჩლა გაგდებულს მუშას და პატრონობა გაუწია იმითი, რომ წავიდა და ალიხანოვის მთავრობას გამოუცხადა, ვითომც ხეჩო მისი მოურავეა და ხორბლის საცალო თავისთვის უნდოდა, ალიხანოვი-კი სდევნის მხმარებლებს იმ აზრით, რომ ჩარჩებსა და ალაფებს ხელი შეუწყოს...

---

შად დაუმძიმა გული საფლავის ქვასავით. ნაფიც მსაჯულთ დამნაშავედ ეცნოთ და ოცის წლით კატორგაში გაგზავნა მიესაჯათ.

V

ამ ხანებში თვით დაგერიც დაუდგრომელობამ შეიპყრო. ეგონა, მალე ვღირსები ოჯახის სიმშვიდესაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ცოლი რაღაც უცნაურის ხასიათისა შექმნა. ხან თითქოს დამშვიდებოდა ხოლმე, მაგრამ ამას ზედ ტირილი მოსდევდა და ქალი რინდდებოდა და შტერდებოდა. ბოლოს ვითომ მხიარულს გუნებაზე მოდიოდა, მაგრამ ეს სიმხიარულე ნაძალადევი იყო. ძირიანად შეირყა მარიამის გულის სიმშვიდე.

— რა დაგემართაო?—ეკითხებოდა ქმარი.

— არაფერიო! უპასუხებდა ცოლი და ცდილობდა, გაეღიმა.

ბოლოს დაგერი აღარაფერს ეუბნებოდა, თვითონაც გული დაეხურა და შეჯავრიანდა, თითქოს გრძნობდა, რომ რაღაცა არა-კეთილი დაგატყდა თავსა და ბედნიერებას მოგვისპობს და მოგვიწამლავსო. ხოლო თავის ქორწინების გამო არავითარიმე სინანული და ჯავრი-კი არ შეჰპარვია გულში. ამიტომ სცდილობდა, შეეგნო და გამოეკვლია ის უცნაური ყოფა-მდგომარეობა, რომელშიაც მარიამი ჩავარდა ამ უკანასკნელს დროს. რაკი აწინდელ გარემოებათა შორის ასახსნელს მიზეზს ვერასა ჰპოვებდა თავის საძიებელის საგნისას, დაგერმა მარიამის წარსულს დაუწყო ჩხრეკა და იქ ეძებდა დასაბამს მისის საიდუმლოებით მოცულობისას. წარმოიდგინა საპატიმრო, სასამართლო, სხვა გარემოებაც, მაგრამ განსხვავება ვერა შეამჩნია-რა, მარიამი რაც მაშინ ენახა, ის ეხლა იყო.

დაგერი ცდილობდა, მოესაზრა თავის ცოლის ცხოვრება პირველ ქორწინების დროს, როდესაც ქვეყრთ არა სასურველი ქმარი ახლდა, რომელიც აჩქარებულის ღონისძიებით მოიშორა თავიდგან. ამას შემდეგ ახლა მარიამის ახალს ცხოვრებას, თავისთან ქორწინებას უფიქრდებოდა და აჟრჟოლებდა და მთელი სხეული უთრთოდა, როდესაც გულში გაივლებდა ხოლმე, ვაი თუ ეხლაც ისევ ის ამბავია ამ ქალის თავს, ვაი თუ ეს ერთფეროვანი ცხოვრება მოჰბეზრდა და სამძიმოდ უჩანსო.

დაგერი ცდილობდა ეს გულსაკლავი აზრი თავიდგან მოეშორებინა, მაგრამ კვლავ უფრო და უფრო უცხოველდებოდა. კითხვა არ უნდა, მარიამს უყვარდა დაგერი. რაც დაგერმა იმას სიკეთე უყო, განა შეიძლებოდა-ღა არა ჰყვარებოდა? განა დაგერმა არ დაიხსნა მარიამი, განა იმან არ მოუპოვა სიყვარული და პატივისცემა, იმან არ აღუდგინა გატეხილი სახელი, იმან არ მიანიჭა სიცოცხლე სიკვდილის მაგიერ და სიხარული ნაცვლად მწუხარებისა? განა რა უნდა ყოფილიყო მარიამი უდაგეროდ? ეს ხომ ესე იყო, მაგრამ სწორედ ეს მოსაზრებავე აწუხებდა დაგერს: გამოდიოდა, რომ დაგერი ამ კეთილის ყოფისთვის უნდა ჰყვარებოდა მარიამს, მაგრამ განა ამ გვარი სიყვარული სიყვარულია? დაგერს გული ნაღველით ევსებოდა. ვუყვარვარ, თუ არა? ვუყვარდი, თუ არაო? დაგერი ვეღარა ჰბედავდა ამ საკითხლე პასუხის მიგებას. ეჭვმა შეიპყრო. თუ ადრევ ბედნიერი ვიყავ, ეს ყველაფერი ჩემ მიერ დავალების გამო მოხდა და სწორედ ესაა მიზეზი მარიანის ეხლანდელის უცნაურის ქცევისაო. რა-კი ერთხელ და ერთხელ დაადგა დაგერი ამ გზას, თავი ველარ შეიკავა. ცხადია, არც უყვარვარ და არც როდისმე ვყვარებივარო. აქამდე თვალთ-მაქცობდა, ფლიდობდა, ხოლო ეხლა აღძრა ჩვეულებრივი ქალური სიძულვილი ამაგდარ კაცისადმიო.

დაგერი თავისს გამოცდილებას ჩაუკვირდა და ჩაუფიქრდა; ყველაფერი მოისაზრა, რაც-კი ქალის ხასიათის შესახებ ენახა და შეესწავლა; გადაატრიალ-გადმოატრიალა თავის მიერ ნახული სხვა-და-სხვა საქმე განქორწინებისა. იმ იშვიათ ქორწინებათა საქმეებში, როდესაც სიყვარული კაცის მხრივ დაწყებულიყო, დაგერი ჰხედავდა, რომ ცოლები უმართლოდ ეკიდებოდნენ ქმრებს და რაღაც ჩუმი დაფადული უკმაყოფილება ჰქონდათ მათდამი, როგორც საყვარლის ლუკმა-პურზე დარჩომილს ქალებს. ქალისთვის საჭიროა, ამაყობდეს იმითი, რომ მე ვინახამ ქმარსაო. სიღარიბეს მოწყვეტილი ქალი ნიადაგ ასე ჰფიქრობს: რაც ამან სიკეთე მიყო, იმ სიკეთეს სხვაც მიზამდა და ვინ იცის, იქნება იმ სხვას მეტი სიკეთეც ექმნა ჩემთვისაო.

დაგერი ცოლს-კი არა ჰკიცხავდა, ფილოსოფოსობდა, მაგრამ რაც საზოგადოდ ქალების შესახებ დასკვნა გამოიყვანა, ჯერ სუყველაფერი თავისს ცოლზე იანგარიშა, რომელიც მისგან დიდად ნაამაგდარი იყო. დაგერი ადარებდა მარიამის წარსულს ცხოვრებას მისს აწინდელს ცხოვრებასთან. პირველს ქმარს მარიამისას თავისს თავთან, ჰგონებდა, იმ კაცს სიყვარულით შეურთავს ეს ღარიბი ქალიო, და ამის გამო თავისს მიერ დასკვნილი აზრი საზოგადოდ ქალებისა და კერძოდ მარიამის შესახებ უფრო და უფრო უცხოველდებოდა. თავის მიერ დაცული საქმე ეხლ ასულ სხვა ელფერით ეჩვენებოდა. იფიქრა, გატაცებული ვიყავ და ჩემი თავი მევე მოვატყუეო. მოისურვა კიდეც იმ საქმის ხელახლად გადათვალიერება, რომ თვითონვე დაერღვია და გაექარწყლებინა თავის მიერ აღდგენილი თუ შექმნილი სიმართლე.

განიზრახა რა ესა, გამოსძებნა გამტვერიანებული ქაღალდები, დააწყო სტოლზე და გულის ფანცქალით შეუდგა იმათს გარჩევასა და შესწავლას, თითქოს იმ საქმისა ჯერ სრულიად არა იცის-რაო. დაგერი ცდილობდა, დიდის მიუდგომელობით განესაჯა საქმე, მაგრამ ამის წინააღმდეგი-კი გამოვიდა. უნდოდა, მიუკერძველად მოქცეულიყო, ხოლო უმართლოდ-კი მოიქცა. თავში მისდა უნებურად რაღაცა აზრი მოქმედებდა. დაგერს კიდეც გაუხარდებოდა ხოლმე, როცა გამამართლებელს საბუთსა ჰპოულობდა თავის ნაწყენობისას. გამალებული ეძებდა და ჰპოულობდა ქაღალდებში ისეთს ადგილებსაც, რომელიც ძირეულად არღვევდა მის მიერ სასამართლოში თქმულსა. თავისი ცოლი ეხლა სხვა ნაირად ეჩვენებოდა: იგი ზნეაშლილი, დაუდგრომელი ქალი იყო, რომელიც ვნებათა ღელვის გამო ნიადაგ რაღასაც ეძებდა, გაუმაძღრობდა და არაფერს არ დაერიდებოდა, თუნდა ბოროტების ჩადენასაც-კი, რომ თავის გულის წადილი შეესრულებინა. დაგერი გრძნობდა, მაშინ რომ ასე განეხილათ საქმე, მე ვერ შევიძლებდი მაგის გამართლებასაო, გულიდამ აღმოეფხვრა ის რწმენა, რომ ჩემი ცოლი უბრალოა ამ საქმეშიო. მარიამი ეხლა მხოლოდ გარყვნილი, მრუში ქალი-ღა იყო. ყოველივე სიკეთე წაერთვა და მარტო ბოროტების ჩამდენი, ქმრის მოღალატე, მომწამვლელი ქალი-ღა დარჩა. წარსული, მხოლოდ სამწუხარო ამბავი, დაგერისთვის საშინელ ბორეტების ამბად გარდაიქცა.

გულდადებით გადაიკითხა მოწმეთა ჩვენებანი, რომელიც ადრევ საზიზღარ ცილისწამებად ეჩვენებოდა, ხოლო ეხლა-კი ნამდვილად და ჭეშმარიტად მიაჩნდა. ბრალმდებელის მიერ წარმოთქმულ გასამტყუნებელს სიტყვასაც აგრეთვე ჭეშმარიტების ღაღადისად ჰხადიდა. ხოლო თავის მიერ თქმულის გადათვალიერებას-კი ვერა ჰბედავდა: ჩემი სიტყვა მხოლოდ ვექილური მანქანებაა, ჩემის თავის ჩემ მიერვე დატყუება და სხვა არაფერიო.

VI

ცოლ-ქმრის დაგერების ცხოვრება მიყრუებულ და სამძიმო ცხოვრებად გარდაიქცა ერთისაცა და მეორესათვისაც.

დაგერს განქორწინება ფიქრადაც არ მოსდიოდა, რადგან ეს პირდაპირი ღიარება იქნებოდა თავისის შეცდომილებისა. თავმოყვარეობა ძალაუნებურად აკავშირებდა ცოლთანა.

ხოლო ფიქრი თავის თავად მოქმედებდა და მუშაობდა. თუ ცოლს არ ვუყვარდი და არ ვუყვარვარ, მაშ ვინ უნდა უყვარდესო? დაგერი იჭვიანობამ შეიპყრო. ამის გამო ფხიზლად ატრიალებდა თვალსა, მოსამსახურე ქალს ყურს უგდებდა, უდროუდროოდ მოდიოდა სასამართლოდამ, თავის ცოლის წასვლა-წამოსვლას ტყობილობდა მაშინაც-კი, როცა ქალი ეკკლესიაში მიდიოდა.

ამ ფიქრების დროს დაგერს უეცრად მოაგონდა მარიამის საყვარელი, მისი მონაწილე, რომელიც სადღაც იყო გადაკარგული. თითონ დაგერსვე გაუკვირდა ესეთი მოფიქრიანება. ცხადია, ის კაცი პარიჟში,

ყოსო. გამგეობას საშინლად ეუცხოვა ასეთი წინააღმდეგი და მოულოდნელი საქციელი თავის მოხელისა, რის გამოც დაჰნიშნა სასტიკი გამოძიება ამ საქმისა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბ-ნ ზავრიევის საჩივარი სრულიად არ ეთანხმებოდა სინამდვილეს, რომ ალიხანოვი თავ-გამოდებით ებრძვის თურმე ჩარჩებისა და ალაფების სამარცხვინო და ყოვლად მაზარალებელს მოქმედებას იმ განზრახვით, რომ ხელი შეუწყოს სოფლის ხალხს და პირდაპირ მომხმარებელთან დააჭერინოს აღებ-მიცემა უშუამავლოდ, რადგან შუამავალს ზარალში შეჰყავს, როგორც გამყიდველი, აგრეთვე მყიდველიც და ხელს უწყობს სიძვირეს ხორაგეულობისას. გამოძიებიდგან სჩანს ისიცა, რომ ბ-ნი ზავრიევი თითონ არის მეურნე ყარაიაზში, თითონ ჩამოაქვს ტფილისში ხორბალი და რად იყიდდა თავისთვის ხორბალს: აშკარადა სჩანდა, რომ ბ-ნს ზავრიევს რაღაც სხვა გვარი დამოკიდებულება ჰქონდა მოედნებთან, არ ეჭაშნიკებოდა ის მწვავე ბრძოლა, რომელიც აუტეხა ქალაქის საბჭომა და გამგეობამ ჩარჩობას, და მოიწადინა გამგეობის ხელითვე გაეუქმებინა ის წესები, რომელიც შემოიღო მოედანზე გამგეობისავე მოხელემ ალიხანოვმა. თვით ალიხანოვმა-კი არ მოუცადა გამგეობის გამოძიებას და გარდასწყვიტა თვაად გაეცა პასუხი იმ კაცისათვის, რომელმაც მოიწადინა მისი გაწბილება გამგეობის წინაშე და ცილი შესწამა. როდესაც ბ-ნი ზავრიევი ჩავიდა მოედანზე, შემოიკრიბა გარშემო ჩარჩი-მუშები და ჩააგონებდა, რომ ალიხანოვს არავითარი უფლება არა აქვს თქვენის განდევნისა, ალიხანოვი მიუახლოვდა ბ-ნს ზავრიევს და ჰკითხა:

— თქვენ დამაბეზღეთ გამგეობასთან?

— ჰო, მე დავაბეზღეთ.

— რა უფლება გქონდათ, რომ მაბეზღებდით, ცილსა მწამებდით და შეურაცხყოფას მაყენებდით, როდესაც არ მიცნობდით!

— უფლებაცა მქონდა და ძალიან კარგადაც მოვიქეცი!

ამისთანა პასუხის შემდეგ ალიხანოვი საშინლად აღელვდა და სილა შემოჰკრა ბ-ნს ზავრიევს.

ბ-ნმა ზავრიევმა მიჰმართა გამგეობას, რომ ალიხანოვი დაესაჯა შეურაცყოფისათვის. გამგეობამ სამართლიანად იცნო ყოველივე მოქმედება ალიხანოვისა, მაგრამ შეურაცხყოფა-კი არ მოუწონა ალიხანოვს და გარდასწყვიტა: მიეცეს ალიხანოვი სამართალში და დათხოვნილ იქმნას სამსახურიდგან, ვიდრე საბჭო განიხილავდეს ამ საქმესაო.

დიდი ბაასი გამოიწვია ამ საგანმა. ბევრმა ხმოსანმა გამოაცხადა უკმაყოფილება გამგეობის მიმართ, რომ გამოძიება ვერ არის კარგად შედგენილიო, რომ იგი თავისს მოვალეობას ვერ ეპიდება გულიანად, თორემ მაგისთანა ამბავი არ მოჰხდებოდა და სხვ.

ხმ. შახ-აზიზოვმა დიდხანს ილაპარაკა გამგეობის წინააღმდეგ, ბოლოს გაარჩია თვით განაჩენი გამგეობისა და სთქვა, რომ ეს განაჩენიცა-კი მოულოდნელად არის დადგენილიო. გამგეობას უნდა, რომ მოსპოს ჩარჩობა, რომელიც სულს გვიხუთავს, როგორც მწარმოებელს, აგრეთვე მომხმარებელს, ამ ჩარჩობას თავგანწირვით ებრძვის გამგეობის აგენტი ალიხანოვი, გამგეობა ამბობს და სამართლიანადაც, რომ ამისთანა რიგიანი მოხელე, როგორც ალიხანოვია, ბევრი არა ჰყავს, და მაგასვე-კი ითხოვს სამსახურიდგან, მაგასვე აძლევს სამართალშიო. ეს განაჩენი არაფერს არა ჰგავსო.

ხმ. იოანისიანი. ხმოსანთა ბაასში ჩვენ ყველაფერი გავიგონეთ: ისიცა, რომ ამ უსიამოვნო შემთხვევის მიზეზი არის გამგეობა და კერძო წევრი მისი ე. ე. ხოსროევი, ისიცა, რომ ალიხანოვს ყოვლად დასაძრახისი საქციელი ჩაუდენია, და კიდევ ბევრი სხვა მოვისმინეთ, მაგრამ საქმის ვითარებას რომ ჩავუკვირდეთ, ყველაფერს აშკარად დავინახავთ, ვის რა ბრალი მიუძღვის ამ ამბავში, და ყველას თავ-თავისი მიეწყობა. ჯერ განვიხილოდ მოქმედება გამგეობისა, რომელსაც ეუბნებიან, გარეშე გამოიძიეთ მდგომარეობა თქვენის მოედნებისა და მათის წესებისაო. გამგეობაცა ჰნიშნავს გამოძიებას დ თავისს მოხსენებაში გვეუბნება, რათა მივაჩვიოთ ტფილისის მცხოვრებნი იმ აზრს, რომ ისინი კონტროლიორები არიან ჩვენის მოქმედებისაო, ამიტომ უნდა შევიწყნაროთ სურვილი ბ-ნ ზავრიევისაო. ესეთი აზრი შეადგენს ხარკს, რომელიც უხდის გამგეობა იმ იაფსა დ ხავს-მოდებულს ლიბერალობას. როგორ თუ ყოველი მცხოვრები კონტროლიორია ჩვენის ან გამგეობის მოქმედებისა! სულაც არა. ჩვენ ამორჩეულნი ვართ მცხოვრებლებისაგან, რომელთაც ყველაფერი ჩვენ მოგვანდეს. ჩვენც შევადგინეთ გამგეობა და ჩავაბარეთ საქმეები. ამისგამო გამგეობის მოქმედებას ჩვენ უნდა ვადევნოთ თვალყური, ჩვენა ვართ მისი კონტროლიორები. ყოველმა მოქალაქემ რომ მოინდომოს კონტროლიორობა და ყველგან გზაზე გადაელობოს გამგეობის წევრებს—აბა პასუხი მოგვეცით, ესა და ეს წესი რატომ შემოიღეთ და სხვა წესები არაო, ჩვენი გამგეობა მათთან ლაპარაკსაც ვერ აუვა და საქმეს ვიღა გაგვიკეთებს! ეს ყოვლად შემცდარი და უკბილო ლიბერალობაა, მეტი არაფერი. მაშასადამე, ძლიერ დიდი შეცდომა მოჰსვლია გამგეობას, რომ ბაზრის მდგომარეობა გამოუძიებია გარეშე კაცის ჩვენებით. მაგრამ თავი დავანებოთ ამ შეცდომას. მეორე უფრო დიდი შეცდომა ჩაიდინა გამგეობამ, როდესაც გადასწყვიტა ალიხანოვის დათხოვნა იმის გამო, რომ ალიხანოვმა სილა გაარტყა ბ-ნს ზავრიევს. სწორე გითხრათ, მე არ მესმის ეს საქმე. ალიხანოვი იძახის, სილა გავარტყიო, ბ-ნი ზავრიევი-კი ყველგან იმას გაიძახის—ჩემთვის სილა არ გაურტყამს ალიხანოვსაო. ჩემის აზრით, ამ ორს კაცში უფრო დასაჯერი მოჩივარისაა: ალიხანოვს შესაძლოა ეჩვენა, ვითომც სილა გაარტყა ბ-ნს ზავრიევს და ბ-ნ ზავრიევს-კი ვერ ეჩვენებოდა, ამიტომ რომ თუ მოჰხვდა სილა, კიდეც იგრძნობდა და ეს გრძნობა უფრო სანდოა. კაცი იძახის, არ მომხვედრიაო. მაშ რაღა გვაწუხებს! თუ არ გაურტამს, აშკარაა რომ დამნაშავეც არა ყოფილა. რაღა უნდოდა გამგეობას, რისთვის ითხოვდა ალიხანოვს სამსახურიდგან და ან რად გვეუბნება, სამართალში მიეცით ალიხანოვიო! გამოძიებასაც არ გვაძლევს გამგეობა, რომ კაცი ოდნავ მაინც მიჰხვდეს სისასტიკეს მის განაჩენისას. ბ-ნი ზავრიევი სჩივის, რომ შეურაცხყოფა მომაყენა იმითი, რომ ხელებს იქნევდა და ისე მელაპარაკებოდა ალიხანოვიო. ჩემის აზრით, კავკასიელნი ყველანი ვიქნევთ ხოლმე ხელებს ლაპარაკის დროს. ბ-ნი ზავრიევი ხმას ისე არ ამოიღებს, რომ ხელი არ გაიქნიოს. თვითონ ე. ე. ხოსროევსაც უყვარს ხელების ქნევა ლაპარაკის დროს. ნუთუ ეს შეურაცხებაა ვისიმე. სრულიადაც არა. თუ მაინცა და მაინც ჰხედავთ შეურაცხებას, წარმოგვიდგინეთ სრული გამოძიება. ხოლო რაც შეეხება ალიხანოვს, იგი ისევ დაიბრუნეთ სამსახურში და, თუ საჭიროა, სამართალს გადაეცით მაგისი საქმე, მანამდე-კი მაგის დათხოვნა დიდი შეცდომააო.

შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, რომელმაც გასტანა თითქმის პირველ საათის ნახევრამდე, საბჭომ დაადგინა—დაბრუნებულ იქმნას ალიხანოვი თავისს სამსახურში, ხოლო საგანი იმის შესახებ, მიეცეს იგი სამართალში თუ არა, განხილულ იქმნას მაშინ, როდესაც წარმოადგენს გამგეობა თავისს დაწვრილებითს გამოძიებასაო.

---

აქ, ჩვენს ახლოს სადმე უნდა იყოს, მარიამი უთუოდ შეჰხვდა და კვლავ ადრინდებულად უყვარსო. რაც ჯვარი დაიწერეს, მას აქეთ ამ კაცზე ლაპარაკი აღარა ჰქონიათ. ადრევ დაგერი იმას ჰფიქრობდა, რაკი საყვარელმა ჯერ წინადამ დაჰღუპა და მერე თავი დაანება და სადღაც მიიმალა, მარიამს აბა რაღად უნდა უყვარდეს, ალბად გულიდამ ამოირეცხა და სძულსო; მაგრამ ეს თავისი ნაფიქრი ეხლა უსაბუთოდ ეჩვენებოდა. ქალი ადვილად ვერ განთავისუფლდება იმ კაცის ხელიდგან, რომელსაც ძალუძს მას ბოროტება ჩაადენინოს, ალბად იმ კაცს მაგრად ჰყოლია ბჭყალებში დაჭერილი მარიამი და საუკუნოდაც მონად იყოლიებსო.

ახლა-კი დაიჯერა დაგერმა, აწ-კი ჭეშმარიტს გზას დავადგეიო. ამ გარემოებით მისის ცოლის ყოფა-ქცევა კარგად აიხსნებოდა—მისი უცნაურობაც, გულჩათუთქულობაც და დაღონებაც. დაგერი შეშინდა, ეშინოდა იმ განსაცდელისა, რომელიც, მისის აზრით, კარს მომდგარი იყო. წარსულის ფიქრით აწმყოზე ანგარიშობდა, მომხდარის მიხედვით მოსახდომზე საზრობდა. განსაცდელი უფრო და უფრო საშიშად ეჩვენებოდა. მარიამი ამ კაცის წყალობით მეც ისე მატყუებს, როგორც პირველს ქმარს ატყუებდაო. თუ ეს მართალი გამოდგა, განა მე-კი ისეთი ხელ-შემშლელი და მეტი არ ვიქნები მაგათთვის, როგორც პირველი ქმარი იყოვო?

რაც მეტსა ფიქრობდა ამ საგანზე, უფრო ძლიერ ბეჯითდებოდა და რწმუნდებოდა თავის ნაფიქრის სიმართლეზე. რა ნაირის გულის ფანცქალითა და ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ეხლახან მომხდარს ქმრის მოწამვლის ამბავსა! ეჭვი არ არის, ამ დროს მარიამი სწავლობდა, ან მე რა შეცდომა და გაუფრთხილებლობა მომივიდა ჩემს საქმეში და ან იმ ქალს რა მოსვლია, რომ შემდეგში იგი თავიდგან ავიცილო და უფრო ხერხიანად და ფრთხილად მოვიქცეო. ეხლა თავისის დაუსჯელობით გამხნევებული და იმ ქალის ამბით ჭკუა-სწავლებული ძლიერ ოსტატურადა და ხერხიანად იქცევაო.

როცა დაგერი ჩვეულებრივს ნაძალადევს ღიმილს ამჩნევდა თავისს ცოლს, ასე ეგონა, თავის საქმის კარგად წაყვანის გამო უხარიანო. როცა დაფიქრებულს ჰხედავდა, მაშინ ასე ანგარიშობდა, ეხლა ახალ ბოროტების საზრისში არის და გეგმას აწყობს თავისს მოქმედებისასაო. თუ დაღვრემას შეატყობდა, ამასაც თავისებურად ხსნიდა, ალბად ის ამძიმებს, რომ თავის გულის წადილი აქამდე ვერ შეუსრულებია და თავის გაუბედაობის გამო იტანჯება, რადგან ის ვიღაცა ძალს ატანს, საქმეს აჩქარებინებს და ამას-კი შიშის გამო, ვაი თუ გამიგონ, ვერ აუჩქარებიაო.

ერთხელ დაგერმა დაცინვით ჰკითხა მარიამს.

— რა ჰქვიან იმ ვაჟბატონს, იმ თქვენს საყვარელსაო.

ქალი გაფითრდა. ჯერ თითქმის აიმღვრა ამ უმართებულო თქმის გამო, მაგრამ შემდეგ სასოწარკვეთილების მწარე გრძნობით სავსემ თავი ჩაჰკიდა და ტირილი დაიწყო

დაგერი გაჩუმდა. ეს გაფითრება, ეს უეცარი ზარი და შეშინება ამტკიცებს მაგის სიმტყუნესაო. ყოველივე ეს, დაგერის აზრით, დამამტკიცებელი საბუთი იყო მის მიერ ნასაზრისა.

რამდენსამე ხანს შემდეგ ქალმა მწარედ და ნაღვლიანად წარმოსთქვა.

— ეხლა ხომ ჰხედავთ, რომ მაშინ მართალს გეუბნებოდით? მაგრამ საქმის მობრუნება ეხლაც კიდევ შეიძლება, თქვენთვის მაინც. თუ გინდათ, გადავიკარგო სადმე, თუ განქორწინება გსურთ, მე მზადა ვარ ყველაფერზეო. ბოლოს ტირილით დაუმატა, თხოვნითაც-კი გთხოვთ, რომ ასე მოიქცეთ, აბა გსურთ, თუ არაო?

— რათაო? ჰკითხა ქმარმა და თან ცდილობდა დაემალა თავის მღელვარება ცოლისგან მოულოდნელის სიტყვების გაგონების გამო.

მარიამი დიდს ხანს დაკვირვებით შეაცქერდა დაგერს, შემდეგ თავი ჩაჰკიდა და წყნარად წარმოსთქვა.

— თქვენი ნება იყოს, ჩემო მეგობაროვო.

დაგერი უნებურად შეკრთა. მოუფიქრებლად მოუარა სურვილმა, მოდი ამ სისულელეს თავს დავანებებ და მუხლებში ჩავუვარდები ცოლსაო. მაგრამ თავი შეიკავა. განქორწინებას რომ ამბობს, თავისთვის ამბობსო, იფიქრა დაგერმა: მაგას უნდა, რომ იმ ვაჟბატონს მისთხოვდესო.

ამ ამბავს შემდეგ დაგერს განსაცდელისა უფრო ძლიერ ეშინოდა. შიშმა მთლად შეიპყრო დაგერი და ველარ დამშვიდებულიყო. შიშისა გამო ქალის საყვარელზედაც-კი აგრე რიგად აღარა ფიქრობდა. ის იქნება, თუ სხვა, სულ ერთიაო. დაგერს მოწამვლა ძლიერ აფიქრებდა. ფხიზლად დაიწყო აქეთ-იქით ცქერა, სამზარეულოში შედიოდა და ყველაფერს ათვალიერებდა. კედლებსა და კუთხეებში იცქირებოდა, სწყუროდა, საზარელი ბოროტება რამ აღმოეჩინა. მაგრამ ვერარას ჰპოვებდა და გულის ჩქროლვა და დაუდგრომელობა-კი უძლიერდებოდა.

ნიადაგ სულ მწარე და გადაკრული ლაპარაკი ჰქონდა და თან დაკვირვებით შეაცქერდებოდა ხოლმე. მარიამს ეს გარემოება კარგად ვერ შეეგნო და მხოლოდ იმას გრძნობდა, ჩემი ქმარი ჩემ მიერ უბედურია და იტანჯებაო. ვერც იმას ამჩნევდა აგრეთვე, რომ ყოველს საჭმელს ჰსუნავდა და ცოლზე ადრე არ იწყებდა ჭამას. ქალს სასოება სრულად წარეკვეთა და მხოლოდ ერთს საგანზე-ღა ჰფიქრობდა—უნდა მოვკვდეო.

## VII

ერთს დილას დაგერმა ლაპარაკი დაუწყო ცოლსა, უქეიფოდა ვარო. მარიამმა მზრუნველის კილოთი ურჩია, მკურნალი მოვიწვიოთო. დაგერმა ეს სიტყვები მეტის მეტ სიყალბედ ჩასთვალა. ცოლმა შეამჩნია, რომ დაგერი რაღაც უცნაურადა ჰსუნავდა და ფერს უსინჯავდა მოტანილს ყავასა, და უთხრა:

— კარგია, გეყოფა! ყავა ძლიერ კარგია, ტყუილად ოცნებას ნუ მისცემიხარო.

— შეიძლებაო, უპასუხა ქმარმა ღიმილით: მაგრამ დაწვრილებით, ქიმიურად მსურს ამ ყავის გასინჯვაო.

ქალს თავს ზარი დაეცა, ვაი თუ გამიმართლდეს ის უბედურება, რომელსაც მოველოდდიო. თავისს ადგილას გაშეშდა და უცდიდა, აბა ახლა-კი შეურაცხმყოფს და ყველაფერს გამაგებინებსო. საშინლად გამწარებულმა ის იყო დააპირა და უნდოდა ეკითხა ქმრისთვის, ამიხსენ, რას ნიშნავს შენი სიტყვის გადაკვრაო, მაგრამ იმან დაასწრო და დაცინვით უთხრა:

— განა ამ ყავაში თქვენ ის საწამლავი არ ჩაასხით, რომლითაც პირველი ქმარი მოწამლეთო?

ქალი მთლად გაფითრდა, გააჰყიტა თვალები, თავი ველარ შეიმაგრა და წაიქცა. გულის სისუსტე დაემართა. ბრაზით სავსე მარიამმა ძლივს წამოიღუღლუღა: „საძაგელო, საძაგელოვო". ყოველგვარს სასჯელსა და ტანჯვას აიტანდა, მაგრამ ეს თქმა მეტის მეტი იყო.

დაგერი გულცივად უცქეროდა, სრულიად არ შეებრალა და არც მიშველება ჰსუროდა. თვით ქალმავე მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და ღონე და წამოდგა.

— აბა ეხლა ხომ უკეთ ბრძანდებითო? კვლავ დაცინვით უთხრა დაგერმა.

ახ, —ო, წაილუღლუღა ქალმა და მეტი კრინტი აღარ დაუძრავს.

თვალებზე ხელი მიიფარა და თავისს ოთახში გაიქცა.

იმ საათსვე დაგერს რაღაც ბრახუნი მოესმა კედელს იქიდგან და შეხტა.

— ჟუსტინაო, დაუძახა მოსამსახურე ქალსა: ქალბატონი უქეიფოდ არის, წადი მიჰხედეო.

შევიდა თუ არა მოსამსახურე ქალბატონის ოთახში, მაშინვე ყვირილი მორთო:

— ბატონო, ბატონოვო!

დაგერი შევიდა ცოლის ოთახში. ქალი იატაკზე იდო გაშიშული. იქვე ხალიჩაზე პატარა შუშა ეგდო და 'შიგ რაღაც წამალი იდგა.

დაგერმა ცოლი ტახტზე დაასვენა და მოსამსახურეს უთხრა, აბა ჩქარა მკურნალს დაუძახეო.

დაგერი ჩუმად იდგა მარიამის უსულო გვამთან და ვერ შეეგნო, თუ მე ვარ მიზეზი ამის სიკვდილისა, ჩემ მიერ მიეწყო ძველის ბოროტების მაგიერიო.

ს. გძელიშვილი

# დეპეშა

16 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ გვამი დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულისა მიასვენეს მოსკოვს, სადაც მიეგებნენ დიდნი მთავარნი კონსტანტინე და დიმიტრი კონსტანტინეს ძენი, მინისტრი საიმპერატორო სასახლისა და სხვანი წარჩინებულნი. მიტროპოლიტის მიერ ჩამოლოცვის შემდეგ კუბო ასწიეს დიდმა მთავრებმა და მახლობელს წმ. ვასილ კესარიელის ტაძარში წაასვენეს. დღეს დილით მიცვალებულს პეტერბურგში წაასვენებენ, ხოლო ხვალ უკვე იქ იქნება. მიცვალებულს პეტრე-პავლეს ტაძარში დაასაფლავებენ ოთხშაფათს, 18 სექტემბერს.

გარდაიცვალნენ: წევრი სახელმწიფო საბჭოსი ვლ. პავ. ტიტოვი და ცნობილი მწერალი ივ. ალ—ძე გონჩაროვი.

ამ წლის პირველს ნახევარს სახელმწიფოს შემოუვიდა 423 მილიონი, ხოლო დაეხარჯა 406 მილიონი.

„Граж.“ იუწყება, ახალ სააგრონომიო ინტიტუტთ დაარსებას აპირობენ და პროექტის შედგენაც უკვე დაიწყესო.

**სევასტოპოლი.** ევპატორიადგან დაიწყეს ცხვრის ზიდვა პარიჟში.

**პარიჟი.** გუშინ ბაპომში გენერალ ფედებრისთვის ძეგლის დადგმის დროს გარეშე საქმეთა მინისტრმა რიბომ სიტყვა წარმოსთქვა. მოიხსენია-რა საფრანგეთის ფლოტის მოგზაურობა ევროპაში, სხვათაშორის ილაპარაკა იმ თანაგრძნობაზედაც, რომელიც რუსეთის ხელმწიფემ და ერმა აღმოგვიჩინაო. ამ სიტყვებზე ხალხმა დასძახა: „გაუმარჯოს რუსთ ხელმწიფეს, გაუმარჯოს რუსეთსაო“.

**ყაზანი.** დღეს მდინარე ვოლგის ნაპირს პარაკლისის გადახდის შემდეგ დაიწყეს რკინის გზის ყაზანის შტოს გაყვანა.

17 სექტემბერი

**მოსკოვი.** დღეს დილით დიდის ამბით მოასვენეს გვამი დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულისა ნიკოლოზის რკინის გზის სადგურზე. დილითვე მობრძანდნენ მატარებლით მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი. ჩამოლოცვის შემდეგ მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი პეტერბურგს გაემგზავრნენ. მატარებელს მიბმული ჰქონდა სამგლოვიარო ვაგონი, რომელშიაც ესვენა გვამი დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულისა.

**სარატოვი.** გუშინ გუბერნატორისას მიწვეულნი იყვნენ შეძლებულნი ვაჭარნი სარატოვისა. გუბერნატორმა სიტყვა წარმოსთქვა და ხელის მოწერა გამართა დამშეულთა სასარგებლოდ. თვითონ 1000 მ. შესწირა და ამის მიხედვით ყველამ გულუხვად გაიღო წვლილი. სულ 30,000 მ. შეიკრიბა. ზოგმა სამ-სამი ათასი მან. შესწირა.

**ბერლინი.** ოსნაბრუკში ბაასის დროს ადგილობრივს ბურგომისტრთან კანცლერმა სთქვა, აწინდელ საქმეთა ვითარების სიმკვიდრის გამო შიში არა არის-რაო. არც ერთს მმართველთაგანს სურვილი არა აქვს მშვიდობიანობის დარღვევისა და ევროპის ომის ატეხისაო. არც ზოგიერთს სახელმწიფოთა დაახლოვებაა საშიშიო. ჩემის აზრით, ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ ინდომებს ომს, რომელიც ყველა წინანდელს ომს გადააჭარბებსო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 სექტემბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7½ | 7, 53 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 149½ | 150½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 14 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | 238 |
| —მეორისა | — „ | — „ | 222 |
| —მესამისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი | 209¾ | — „ | 212 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ; როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი | 1 | „ |
| ბრძენი | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. | „ | 25 |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова | 3 | „ |


კერძო ექიმი
**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პაპოვისა, ვარანცოვის ნომრების პირდაპირ. (10—4)

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

**დ ა ნ ი ა**

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—22)

საზოგადოების საყურადღებოდ

თამბაქოს ფაბრიკა
**ნ. ი. ბოზარჯიანცისა**
ტფილისში

ვთხოვ ყურადღება მიაქციოს პატივცემულმა საზოგადოებამ ეს არის ეხლა მიღებულ ახალის სისტემის ამერიკულ მაშინებზედ საუკეთესო ფრანგულს ქაღალდზედ გაკეთებულს

გილზებს უწებოდ.

პაპიროსის მხმარებელთ შეუძლიანთ ყოველთვის იქონიონ ასეთის გილზით გაკეთებული პაპიროსი სხვა-და-სხვა ფასისა, რომელიც უკვე დიდ-ძალია მომზადებული გასასყიდად-

ეს არის ეხლა მივიღეთ საუკეთესო ღირსების ახალი

**ოსმალეთისა და ადგილობრივი თამბაქო**

სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს საჩქაროდ ვასრულებთ. (10—117—2)

## УПРАВЛЕНІЕ ЗАКАВКАЗСКОЙ ЖЕЛѢЗНОЙ ДОРОГИ

Вызываетъ желающихъ принять на себя поставку, для потребностей эксплоатаціи будущаго 1892 года: шпалъ дубовыхъ—въ количествѣ до 200.000 штукъ и сосновыхъ или еловыхъ тоже въ количествѣ до 200.000 штукъ, а также переводныхъ брусьевъ: сосновыхъ 100 комплектовъ и дубовыхъ 100 комплектовъ.

**Главныя условія поставки слѣдующія:**

1. Шпалы и переводныя брусья могутъ поставляться на любой станціи дороги.
2. Шпалы и переводныя брусья должны быть зимней рубки, т. е. вырубленныя въ теченіе Октября, Ноября, Декабря 1891 г. и Января и Февраля 1892 года.
3. Шпалы и переводныя брусья должны соотвѣтствовать принятымъ на дорогѣ техническимъ условіямъ и чертежамъ.
4. Лица, желающія принять на себя поставку, подаютъ заявленія, (не позже 10-го Октября сего 1891 года) на имя Начальника Матеріальной службы (Михайловская улица, домъ Эминова. Въ заявленіи должны быть указаны: цѣна, количество, сроки и мѣсто поставки. При заявленіи также долженъ быть приложенъ, за печатью поставщика, образецъ дерева, изъ котораго будутъ выдѣлываться шпалы.
5. При подписаніи договора, поставщикъ вноситъ 10% залогъ съ подрядной суммы.
6. Сдача означенныхъ выше матеріаловъ должна производиться съ 1-го Февраля по 1-е Августа 1892 года, по возможности ежемѣсячно равными частями.
7. Уплата денегъ будетъ производиться Управленіемъ дороги за партіи не менѣе 5.000 штукъ шпалъ и не менѣе 25 комплектовъ переводныхъ брусьевъ.

Чертежи и техническая условія можно видѣть у Смотрителей Матеріальныхъ складовъ на станціяхъ: **Баку, Елисаветополь, Михайлово и Батумъ.**

Управленіе дороги оставляетъ за собою право выдать заказъ или заключить договоръ и на меньшее количество, чѣмъ будетъ предложено поставщикомъ.

За болѣе подробными кондиціями, поставщики имѣютъ обращаться въ контору Матеріальной службы по вышеозначенному адресу. (3—115—3)


Дозв. ценз. Тифлисъ, 17-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.